ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N52

ქ.თბილისი

24 იანვარი, 2020 წელი
16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ირაკლი ზარქუა

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი
რამინა ბერაძე
ოთარ გრიგოლია
ბექა დავითულიანი
ლევან დარახველიძე
ფრიდონ ინჯია
ერეკლე კუხიანიძე
ნინო ლაცაბიძე
ქეთევან მამულაშვილი
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
რევაზ სოხაძე
დავით უთმელიძე
თარაშ შურღაია
ავთანდილ ცინცაძე
დავით ჭელიძე
ილია ჯიშკარიანი
ქეთევან ჯოხაძე
ლევან არველაძე
გიორგი ბირბიჩაძე
გულია გოცირიძე
ლევან დავითაშვილი
გიორგი დოხტურიშვილი
გოჩა თევდორაძე
ანა ლაშხი
ლილე ლიპარტელიანი
გიორგი მუსხელიშვილი
თინათინ ნიბლოშვილი
ნინო რუხაძე
თამარ ტალიაშვილი
ვახტანგ შაქარიშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ვლადიმერ ძნელაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ჯაბა ჯიშკარიანი

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ჯუმბერ ყანდარელი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებელი ბექა მიქაუტაძე

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსი ირაკლი თავართქილაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დღეს, საკრებულოს კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე საკრებულოს წევრებს შორის მომხდარი კონფლიქტიდან გამომდინარე, კოლეგებს მოუწოდა თავი შეიკავონ დაპირისპირებისა და პირადი შეურაცხყოფისგან.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ დღეს, საკრებულოში განვითარებული მოვლენების გამო, ძნელია საკრებულოს წევრებს უწოდოს კოლეგები და მიმართა თარაშ შურღაიას: „თქვენი წარსული, მიწის ლეგალიზების კომისიის თავმჯდომარეობიდან გამომდინარე, გაძლევთ იმის უფლებას, რომ საკრებულოს წევრის სტატუსს ატარებდეთ? არ გინდათ იმაზე საუბარი, რომ ყველა თქვენი გადაწყვეტილება, კორუფციით არის სავსე?... თქვენი დასასრულის დასაწყისია ის, რაც დღეს გააკეთეთ და შესაბამისად, მიიღებთ იმას, რაც გელოდებათ - ციხეში იქნებით უახლოეს მომავალში აუცილებლად. თქვენ, დღეს, ისეთი რაღაც გააკეთეთ, რაც საკრებულოს ისტორიაში არ მომხდარა...“ ასევე, მიმართა საკრებულოს წევრებს „თითოეული თქვენგანი, გამონაკლისების გარდა, რომლებთანაც ბოდიშს ვიხდი, თავიდან ბოლომდე კორუფციაში ხართ ჩაფლული. ერთეულებს გამოვარჩევ, ვინც მუშაობთ და მართლა ზრუნავთ ხალხზე... თქვენი სახე არის მოძალადე, კორუფციაში და ნეპოტიზმში ჩაფლული ადამიანები... თქვენ ხართ კრიმინალი ლაჩრები და თქვენნაირი დეპუტატებისგან მიღებულ გადაწყვეტილებას ლეგიტიმაცია ვერ ექნება.“ საუბრის ბოლოს, საკრებულოს თავმჯდომარეს გადასცა საპროტესტო წერილი და განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები საკრებულოს მიმდინარე სხდომას არ დაესწრებიან.

ბექა დავითულიანის თქმით, დღეს, საკრებულოს კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე მოხდა სამწუხარო ინციდენტი, რაც გამოიწვია ლევან ხაბეიშვილის მიერ ტელეეთერით გაკეთებულმა განცხადებამ, როდესაც მან უმრავლესობის ყველა წევრს უწოდა „ფარჩაკი, იდიოტი არაკაცები“ და განაცხადა, რომ „საკრებულო ნამდვილად არ არის მუშტი-კრივის და დაპირისპირების ადგილი, თუმცა, არც პოლიტიკაა პირადი შეურაცხყოფის და დედის გინების ადგილი“. განაცხადა, რომ არავისგან არასდროს გაამართლებს ფიზიკურ დაპირისპირებას და შეურაცხყოფას, თუმცა არც ერთმანეთის გინებაა ნორმალური. მისი თქმით, ლევან ხაბეიშვილი ორი წელია იწვევს საკრებულოს წევრებს და ცდილობს მომხდარიყო ის, რაც დღეს მოხდა. მისთვის ლევან ხაბეიშვილის სიტყვას არ აქვს არანაირი ფასი, რადგან ყოველი სიტყვის უკან ისეთივე ტყუილია, როგორიც არის ის, რომ საკრებულო არ უმატებს ხელფასს იმ ადამიანებს, რომლებიც ასუფთავებენ საკრებულოს შენობას. საკრებულოს არ აქვს მათთვის ხელფასის გაზრდის არანაირი ბერკეტი, რადგან ისინი დასაქმებული არიან კერძო კომპანიაში, რომელიც არის ტენდერში გამარჯვებული და დასუფთავების მიმართულებით ემსახურება საკრებულოს. საუბრის ბოლოს, ბექა დავითულიანმა შესთავაზა საკრებულოს წევრებს, რომ დღეიდან ლევან ხაბეიშვილის სიტყვებს გაუკეთონ სრული იგნორი და საკრებულოში მომხდარი ინციდენტის გამო, საზოგადოებას ბოდიში მოუხადა.

ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ არავინ არის იმის მომხრე, რაც დღეს საკრებულოში მოხდა, თუმცა პირად შეურაცხყოფას და კოლეგების მიმართ „ამაზრზენ დამოკიდებულებას“, რა თქმა უნდა, მოჰყვება ადეკვატური პასუხი. მისი თქმით, საუბარია საკრებულოში დასაქმებული დამლაგებლებისთვის ხელფასების გაზრდაზე, რომლებიც 2011 წელს, „უგულავას კორუმპირებულმა მთავრობამ“ სამსახურიდან გაათავისუფლა, რის შემდეგაც ჩაატარა ტენდერი, დაიქირავა კომპანია და გაუფორმა ხელშეკრულება. მართალია ამ ადამიანების ანაზღაურება არ არის მაღალი, თუმცა, დღეს, ლევან ხაბეიშვილს უმრავლესობასთან ამ თემაზე საუბრის მორალური უფლება არ აქვს.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ არავისთვის არის სასიამოვნო იმ კადრების ნახვა, რაც დღეს საზოგადოებამ იხილა საკრებულოს ბიუროს სხდომის დარბაზში. თუმცა, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ეს ადამიანები წარმოადგენენ იმ პოლიტიკურ ძალას, რომლებიც რუსთაველის გამზირზე აქციის დაშლის შემდგომ, სკანდირებდნენ შეურაცხმყოფელი სიტყვებით და დედის გინებიდან დაწყებული, ყველანაირ შეურაცხყოფას აყენებდნენ აქციის

მონაწილეებს და ორგანიზატორებს. გიორგი ჩაკვეტაძის თქმით, გარდა იმისა, რომ საკრებულოს თითოეულ წევრს აქვს პოლიტიკური პასუხისმგებლობა, არიან ინდივიდები და თუკი ვინმე დააპირებს პიროვნულ შეურაცხოფაზე გადასვლას, მიიღებს გონივრულ და ადეკვატურ პასუხს. განაცხადა, რომ მისთვის პრიორიტეტულია ის პროექტები და მიმართულებები, რომლებიც დღეს განიხილებოდა საკრებულოს კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე და რომლებიც მიმართულია იმისკენ, რომ ხვალინდელი თბილისი იყოს უკეთესი. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებს კი „უნდათ დაგვაბრუნონ გუშინდელ თბილისში, იმ თბილისში დაგვაბრუნონ, როდესაც ისინი იყვნენ ხელისუფლებაში, მაგრამ ისინი ამას ვერ მოესწრებიან. თბილისის საკრებულო, თბილისის მერია, დედაქალაქის მერი გააგრძელებს მუშაობას იმისთვის, რომ თითოეული ჩვენგანი და თითოეული თბილისელი ცხოვრობდეს ბევრად უფრო უკეთ, ვიდრე ის ცხოვრობს დღეს".

ავთანდილ ცინცაძემ განაცხადა, რომ დღეს საკრებულოში მომხდარი ინციდენტი მოჰყვა მის განცხადებას, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მისი განცხადება, თავის მხრივ, გამოწვეული იყო იმით, რომ რამდენიმე დღის წინ, ტელეეთერის საშუალებით, ლევან ხაბეიშვილმა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს უწოდა „არაკაცი, ფარჩაკი და ა.შ." მისი აზრით, საკრებულოს უმრავლესობის წევრებს არ ეკუთვნით ეს სიტყვები, მით უმეტეს, იმ ადამიანისგან, რომელიც „დადიოდა თურმე რუსთაველზე და ქართველ ხალხზე იძახდა, რომ ეს ნაგავი გაიტანეთო". ავთანდილ ცინცაძის თქმით, ლევან ხაბეიშვილი „გადავიდა უკვე პირად შეურაცხყოფაზე და პირად შეურაცხყოფაზე, მიიღებს ყოველთვის პირად პასუხს".

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ";

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-14 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ";

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N42-33 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ბექა მიქაუტაძე

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის წესდების (დებულების) დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-88 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 მარტის N5-18 დადგენილების“ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

15. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125^2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის

დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/კ.: 202886788) მიერ მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „2016 წლის 13 მაისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-308-26-19647 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის ცვლილების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი N42-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.15.05.008.037) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „უორვიკშირ ესთეითის საქართველოს წარმომადგენლობისთვის“ (ს/ნ.: 204535654) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ სამშენებლო საქმიანობის განხორციელებისას სამშენებლო დოკუმენტაციის წარმოებისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

20. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

21. „ქალაქ თბილისში, ქუჩა ლუბლიანა, N2/6; ქალაქი თბილისი, ლუბლიანას, ჩაჩავასა და ბელიაშვილის ქუჩებს შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.02.009.042, ნაკვეთი 09/024) მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, ღია სპორტული მოედანი, კომერციული ფართები, ღია და დახურული ავტოსადგომები) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

22. „ქალაქ თბილისში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.359) საწარმოს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

23. „ქალაქ თბილისში, დიღომი-გლდანის შემაერთებელი მაგისტრალის ჩრდილოეთით, ბელიაშვილის ქუჩის გაგრძელებაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.873) მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო ცენტრი „დომინო“) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

24. „ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქუჩა N3, ვ.ნინუას ქუჩა N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.196; N01.12.12.001.197; N01.12.12.001.208;

N01.12.12.001.218; N01.12.12.001.198; N01.12.12.001.393; N01.12.12.001.394) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

25. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.23.564, N72.16.23.565, N72.16.23.566, N72.16.23.692, N72.16.23.693, N72.16.23.694, N72.16.23.736, N72.16.23.737) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

26. „ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N21-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.007.073) ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკის ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე".

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განმარტა, რომ გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე, ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" ინიციატივით, წარმოდგენილია ამავე კომისიის წევრის, გიორგი დოხტურიშვილის კანდიდატურა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ დედაქალაქში სატრანსპორტო სფეროს რეგულირების მიზნით, წარმოდგენილია სსიპ-ს დაფუძნება, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული სფეროს განვითარებას, შესაბამისი სერვისების გაუმჯობესებას და ამ სფეროთი დაინტერესებული პირებისთვის სერვისის მიწოდებას დროის მოკლე მონაკვეთში და ერთიანი პოლიტიკის ფარგლებში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ ურბანული მიმართულებით სწორი მართვის პრინციპის დანერგვის და ამ სფეროს უფრო სწორად და გეგმაზომიერად განვითარების მიზნით, მიზანშეწონილია შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც, თავისი დანიშნულებიდან გამომდინარე, კიდევ უფრო მეტად იქნება ორიენტირებული სერვისებზე და ურბანული პოლიტიკის სწორად ჩამოყალიბებასა და განხორციელებაზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ ზემოთხსნებული ტრანსპორტის განვითარების და ურბანული განვითარების სსიპ-ების დაფუძნებიდან გამომდინარე, საჭიროა მერიის დებულებაში, სტრუქტურის ჩამონათვალიდან ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურების ამოღება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-14 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება განპირობებულია სსიპ „ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს“ დაფუძნებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N42-33 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება განპირობებულია სსიპ „ურბანული განვითარების სამსახურის“ დაფუძნებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო, მუნიციპალური ინსპექციის, იურიდიული და შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურეებში საშტატო ერთეულების გადანაწილება ფუნქციური დატვირთვის მიხედვით, რაც გამოწვეულია აღნიშნული სამსახურების საშტატო ნუსხის თბილისის 2020 ბიუჯეტთან შესაბამისობაში მოყვანით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, თბილისის რაიონების გამგეობებს ემატება თითო-თითო საშტატო ერთეული, შესაბამისი ფუნქციის განხორციელების მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ დადგენილების პროექტი გამომდინარეობს წინამდებარე დადგენილებიდან და შესაბამისად, წარმოდგენილია გამგეობების საშტატო ნუსხაში ერთი ერთეული შტატის დამატება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ხდება წესების ხელახალი დამტკიცება.

გიორგი ბირბიჩაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ხორციელდება ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, კერძოდ, დაკმაყოფილდება აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე, მომლოდინეთა სიაში მყოფი, დაახლოებით 230 ბავშვი, რაც მნიშვნელოვანი შეღავათია მათთვის და მათი ოჯახებისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ ამ შემთხვევაშიც წარმოდგენილია წესების ხელახალი დამტკიცება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებელმა ბექა მიქაუტაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია წესში არსებული ვადის შეცვლა და მისი განსაზღვრა 2020 წლის ბოლომდე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ლილე ლიპარტელიანი დაბრუნდა სხდომათა დარბაზში, წაიკითხა ამონარიდი გიორგი ტყემალაძის წერილიდან, რომელიც ეხებოდა 2019 წლის 17 დეკემბერს საკრებულოს შენობაში განვითარებულ მოვლენებს, როდესაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობაში მყოფი ადამიანების უსაფრთხოების დაცვის მიზნით, უსაფრთხოების სამსახურის მიერ გამოძახებული იქნა სამართალდამცავი ორგანოები და მიმართა გიორგი ტყემალაძეს: „დღეს, როდესაც საკრებულოს წევრის, ლევან ხაბეიშვილის ჯანმრთელობას შეექმნა საფრთხე, მიმართეთ თუ არა სამართალდამცავ ორგანოებს ან თქვენ, ან უსაფრთხოების სამსახურმა?“ ასევე, დაინტერესდა, რატომ არ უშვებენ საკრებულოს შენობაში იმ ადამიანებს, რომლებზეც დაშვებულია საშვები.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ 2019 წლის 17 დეკემბერს, სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა არა მან, არამედ უსაფრთხოების სამსახურმა და ამას ადასტურებს ლილე ლიპარტელიანის მიერ წარმოდგენილი წერილიც. რაც შეეხება დღეს მომხდარი ინციდენტის გამო სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვას, აღნიშნა, რომ უსაფრთხოების სამსახურმა შეძლო ინციდენტის აღკვეთა, დაპირისპირებული მხარეები განარიდა ერთმანეთს და შესაბამისად, არ ყოფილა სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვის საჭიროება. ხოლო საკრებულოს შენობაში იმ მოქალაქეების არ შემოშვება, რომლებზეც დაშვებულია საშვები, გამოწვეულია დამატებით კონფლიქტური სიტუაციის შექმნის თავიდან აცილების მიზნით.

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის წესდების (დებულების) დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-88 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ გასულ წელს, საკანონმდებლო აქტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“ გადავიდა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია აღნიშნული სსიპ-ს დებულების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 მარტის N5-18 დადგენილების“ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხიც ეხება სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს“. ამ ეტაპზე წარმოდგენილია ცენტრის ელექტრონული საქმისწარმოების წესის ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125² მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი მოიცავს სატრანსპორტო კომპანიისთვის უფლებამოსილების მინიჭებას, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსთან მიმართებაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/კ.: 202886788) მიერ მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ქალაქში მიკროავტობუსების მიმართულებით არსებული რთული მდგომარეობიდან გამომდინარე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ შეიძინოს 300 ახალი მიკროავტობუსი და სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, გადასცეს იმ ოთხ კომპანიას, რომელიც ოპერირებს ამ სფეროში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

17. „2016 წლის 13 მაისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-308-26-19647 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის ცვლილების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია საინვესტიციო პროექტის ფარგლებში აღებული ვალდებულებების განხორციელების ვადის გაგრძელება 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქ თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი N42-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.15.05.008.037) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „უორვიკშირ ესთეითის საქართველოს წარმომადგენლობისთვის“ (ს/ნ.: 204535654) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ლიფტის მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ სამშენებლო საქმიანობის განხორციელებისას სამშენებლო დოკუმენტაციის წარმოებისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ სივრცითი კოდექსის მიღებიდან გამომდინარე, დღეს მოქმედ დადგენილებას შეეცვალა საფუძვლები და აქედან გამომდინარე, სამართლებრივი საფუძვლების შეცვლის მიზნით, საჭირო გახდა მისი ხელახალი დამტკიცება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ლილე ლიპარტელიანმა, პროტესტის ნიშნად, რომ საკრებულოს შენობაში არ უშვებენ იმ ადამიანებს, რომლებზეც დაშვებულია საშვები, გამორთო რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერული სისტემა.

გიორგი ტყემალაძემ, საკრებულოს სხდომის შეუფერხებლად გაგრძელების მიზნით, საკრებულოს წევრებს შესთავაზა გადაწყვეტილებები მიეღოთ ხელის აწევით, რასაც დაეთანხმნენ საკრებულოს წევრები. გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა გადაწყვეტილებების ხელის აწევით მიღების შესახებ წინადადება.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ ისტორიული ლანდშაფტის დამცავ ისეთ ზონაში, რომელსაც დაკარგული აქვს ისტორიული ღირებულება, დასაშვები გახდა სამშენებლო განვითარება, როგორც განაშენიანების რეგულირების გეგმით, ასევე მშენებლობის ნებართვის გაცემით და დროებით შეზღუდვის არეალებში, მუნიციპალური ობიექტების განთავსების მიზნით, დასაშვები გახდა გენ.გეგმაში ცვლილებების შეტანა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

21. „ქალაქ თბილისში, ქუჩა ლუბლიანა, N2/6; ქალაქი თბილისი, ლუბლიანას, ჩაჩავასა და ბელიაშვილის ქუჩებს შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.02.009.042, ნაკვეთი 09/024) მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, ღია სპორტული მოედანი, კომერციული ფართები, ღია და დახურული ავტოსადგომები) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ მრავალფუნქციური კომპლექსი მოიცავს საცხოვრებელ, ღია სპორტულ მოედანს, კომერციულ ფართებს და სხვა დანიშნულების ობიექტებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

22. „ქალაქ თბილისში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.359) საწარმოს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების

თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ საპროექტო არეალზე ვრცელდება სამრეწველო ზონა და ტერიტორიის განვითარება დაგეგმილია შესაბამისი ფუნქციით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

23. „ქალაქ თბილისში, დიღომი-გლდანის შემაერთებელი მაგისტრალის ჩრდილოეთით, ბელიაშვილის ქუჩის გაგრძელებაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.873) მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო ცენტრი „დომინო“) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია მრავალფუნქციური კომპლექსის, კერძოდ, სავაჭრო ცენტრის „დომინო“ მშენებლობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

24. „ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქუჩა N3, ვ.ნინუას ქუჩა N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.196; N01.12.12.001.197; N01.12.12.001.208; N01.12.12.001.218; N01.12.12.001.198; N01.12.12.001.393; N01.12.12.001.394) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ ტერიტორიაზე დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, რომლის შესაბამისად წარმოდგენილია გრგ-ს დამტკიცება ტერიტორიის ნაწილზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

25. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.23.564, N72.16.23.565, N72.16.23.566, N72.16.23.692, N72.16.23.693, N72.16.23.694, N72.16.23.736, N72.16.23.737) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ ტერიტორიაზე დაგეგმილია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანება, საცხოვრებელი ზონა 1-ის ფარგლებში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

26. „ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N21-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.007.073) ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკის ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ დაგეგმილია ინფექციურ დაავადებათა სამედიცინო ცენტრის განაშენიანება, ტერიტორიაზე მოქმედი ზონის სტატუსის შესაბამისად და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 16 დადგენილება და 10 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე _____ გიორგი ახვლედიანი